ხელშეკრულება № 20
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ნინოწმინდა, სოფელ გორელოვკა 20 ნოემბერი 2018 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ნინოწმინდის სოფელ გორელოვკის №2 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის სასნუჰი კიურეღიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს „საბა „ (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის სერმან მურჯიკნელის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილი CPV - კოდების მიხედვით საქონლის შესყიდვა:
CPV-33700000, CPV-39500000, CPV-39200000, CPV-18100000

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 306,7 (სამას ექვსი ლარი და 70 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ნინოწმინდა, სოფელი გორელოვკა).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს

ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

### მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

### მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

### მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

### მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

### მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

### მუხლი 11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულების გათვალისწინებულ პირობებთან და შემსიდველის მოთხოვნებთან.

11.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი/პირები არიან სსიპ-ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის №2 საჯარო სკოლის დირექტორი და სამეურვეო საბჭო.

11.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

11.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. გადასახადები და დაბეგვრა

12.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი სოფელ გორელოვკის №2 საჯარო სკოლა<br>ს/კ 236684487<br>მის: ქ. ნინოწმინდა, სოფელი გორელოვკა<br>ტელ: 551-08-58-09 | შპს საბა<br>ს/კ 423354818<br>მის.:ქ. ახალქალაკი, ნალბანდიანის61/8<br>ტელ.:593399253 |
| საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს „ლიბერთი ბანკი"<br>ბანკის კოდი LBRTGE22<br>ა/ა GE76LB0121151938310000 | საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს „საქართველოს ბანკი"ბანკი<br>ბანკის კოდი BAGAGE22<br>ა/ა GE22BG0000000139208800 |
| დირექტორი: სასნუკი კოჩერიან<br>(ხელმოწერა) | დირექტორი: სოსან მურადოვწელი<br>(ხელმოწერა) |

1. შესყიდვის ობიექტი:

| № | დასახელება | განზომილების ერთეული | ერთეულის ფასი | რაოდენობა | საერთო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტუალეტის ქაღალდი ობუხოვის | ცალი | 0.45 | 100 | 45 |
| 2 | ავეჯის საწმენდი საშუალება | ცალი | 1.8 | 4 | 7.2 |
| 3 | ავეჯის საწმენდი ტილო | ცალი | 1.2 | 10 | 12 |
| 4 | იატაკის ჯოხი ხის | ცალი | 6 | 3 | 18 |
| 5 | მტვრის ასაღები ჯაგრისი გრძელტარიანი | ცალი | 10 | 2 | 20 |
| 6 | სარეცხი ფხვნილი | ცალი | 1.8 | 6 | 10.8 |
| 7 | რაქშა | ცალი | 1.85 | 3 | 5.55 |
| 8 | ქლორი | ცალი | 1.35 | 7 | 9.45 |
| 9 | ჰიგიენის საწმენდი საშუალება(სველი სალფეთკი) | ცალი | 2.2 | 5 | 11 |
| 10 | ცოცხი ბუნებრივი | ცალი | 4.7 | 10 | 47 |
| 11 | იატაკის ტილო | ცალი | 4.5 | 10 | 45 |
| 12 | შუშის საწმენდი საშუალება | ცალი | 2.3 | 4 | 9.2 |
| 13 | ფეირი 1,350 ლიტრი | ცალი | 5 | 4 | 20 |
| 14 | ხელთათმანი სამუშაო | ცალი | 0.9 | 25 | 22.5 |
| 15 | ხელთათმანი რეზინის | ცალი | 1.2 | 20 | 24 |
| | სულ: | | | | 306.7 |

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის №2

საჯარო სკოლის დირექტორი: /სანუში კურეღიან/

/ სერმან მურჯიკნელი/

# მიღება-ჩაბარების აქტი №1

ნინოწმინდა, სოფელი გორელოვკა 20 ნოემბერი 2018 წ

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი,ერთის მხრივ შპს „საბა"-ის სახით შემდგომში „მიმწოდებელი" და მეორეს მხრივ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის №2 საჯარო სკოლის დირექტორი სასნუპი კიურელიანი (შემდგომში„შემსყიდველი"),წინამდებარე აქტით ვადასტურებთ,რომ ხელშეკრულების თანახმად,მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა საქონელი რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 306,7 (სამას ექვსი ლარი და 70 თეთრი) ლარს.

რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით

მიიღო: ჩააბარა:

შპს„საბა„

/სასნუპი კიურელიან/ /სერმან მურჯიკნელი /

# ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ნინოწმინდა,სოფელი გორელოვკა

10 ნოემბერი 2018 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებ, რომ სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის №2 საჯარო სკოლასა და შპს „საბა" სერმან მურჯიკნელის შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისას არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის
სოფელ გორელოვკის №2 საჯარო
სკოლის დირექტორი:

/სანუპი კიურეღიან/